ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №104478

ნომერი: AR134165

თარიღი : 29.03.2012

გაცემის თარიღი : 02.04.2012

გაცნობის თარიღი : 05.04.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 21ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ჯანხოთელი პ/ნ 01012004065
- თბილისი ვარკეთილის მას. IV მ/რ II რიგი კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 29 მარტის #AR134165 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, აბაშიძეს ქ. #21ა–ში არსებულ #01.14.11.016.001 მიწის ნაკვეთზე კომერციული–საოფისე შენობა–ნაგებობის მშენებლობისთვის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს:

ადგილის მნიშვნელობიდან გამომდინარე სამსახურს საბოლოო გადაწყვეტილებისთვის დამატებით ესაჭიროებოდა იმ საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი და მისი ფოტომონტაჟი არსებულ გარემოში, რომლის მშენებლობასაც აპირებთ.დ

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.14.11.016.001 სამსახურის მიერ უკვე მომზადებულია #7616 (10.10.2007) ქალაქთმშენებლობითი პირობები, შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, სავაჭრო–საყოფაცხოვრებო ობიექტის ასაშენებლად.

თუ სამსახურის მიერ მოწონებული იქნება მოთხოვნილი საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი, შესაძლებელი იქნება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კომერციული–საოფისე შენობა–ნაგებობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა, რისთვისაც საჭიროა პარალელურად დააყენოთ მოთხოვნა ზემოთ აღნიშნული უკვე მომზადებული ქალაქთმშენებლობითი პირობების და შეტანხმებული პროექტის გაუქმებაზე.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს უკან მდებარე #01.14.11.016.024 მიწის ნაკვეთთან ერთად.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გასაცემად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. რადგან თქვენი განცხადება შემოსულია 2012 წლის 29 მარტს და გადახდილი გაქვთ დაჩქარებული მომსახურეობის 300 ლარიანი ქვითარი აღნიშნული დოკუმენტის მომზადება განისაზღვრება 5 სამუშაო დღით. თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 2 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 5 დღიანი ვადა შესაბამისი მოთხოვნის დასაყენებლად და აღნიშნული დოკუმენტის წარმოსადგენად. სამსახურს დარჩენილი აქვს 3 სამუშაო დღე; თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაყენებული აღნიშნული მოთხოვნა და არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, განცხადება დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

შენიშვნა: მოთხოვნილი დოკუმენტაცია აიტვირთოს განაცხადის ცარიელ ველებში ან დამატებითი დოკუმენტების ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.